


მთავარი თემა



მანანა ქოჩლაძე ილია ელოშვილის გადაყენებას მოითხოვს

გიორგი გირველიძე 29 იანვარი 2014 18:09:16

მეორე დღეა, ხაიშის მცხოვრებელთა გარკვეული ჯგუფი აზომით სამუშაოებს პროტესტებს, რომელიც დაურეგისტრირებელი მიწების მოსახლეობის საკუთრებაში გადაცემას ემსახურება. დღეს მათ პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართეს და ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი ცენტრალური ავტომაგისტრალი ლოდებით ჩახერგეს.



"უმკაცრესად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც კანონს არღვევს, არ აქვს მნიშვნელობა რა მოტივით და რის გამო არღვევენ კანონს. პროტესტის ამგვარი ფორმა აბსოლუტურად მიუღებელია და შესაბამისად, ისინი უკვე იმ ძალით გვიპირისპირდებიან, რომ ამის მოგვარება სამართალდამცველებს ევალებათ. კანონი უნდა აღსრულდეს, ეს არის ჩემი კომენტარი.

აზომეგობრივი იქ იმყოფებიან აბსოლუტურად კანონიერად. ერთი რამ მინდა გაითვალისწინოს ყველამ. ეს მიწები უკვე კერძო ინვესტორის, ტრანსელექტრიკის საკუთრებაშია, ის კია არა რომ ამ ადამიანებს დარეგისტრირებული არ აქვთ, საერთოდ არც არის მათ საკუთრებაში. ამიტომ, ცხადია, ამ ყველაფრის უკან ვიდავის ფარული ინტერესები დგას. ამ ყველაფერში

გავერკვევით, ეს არ არის პრობლემა და ყველაფერი მოგვარდება. რაც შეეხება ამ ფორმით და ძალისმიერით მეთოდებით დაპირისპირებას, ამაზე სამართალდამცველებმა ადეკვატური რეაქცია უნდა მოახდინონ." \_ განაცხადა ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილემ, ხუდონჰვის პროექტის კოორდინატორმა ილია ელოშვილმა "გურია ნიუსთან" საუბრისას

სოციალურ ქსელში ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილეს, არასამთავრობო ორგანიზაციის „მწვანე ალტერნატივა“ თავმჯდომარე, მანანა ქოჩლაძე ილია ელოშვილის განცხადებას ასე გამოეხმაურა:

"ამ სიტყვების მერე მოვიტოვებ ილია ელოშვილის გადაყენებას, აგრეთვე გამოძიების აღძვრას ყველა იმ პირზე, რომელთაც თავის დროზე, მიწიანად, დედაბუდიანად მიყიდეს სოფელი ხაიში ინვესტორს ერთ დოლარად. სირცხვილია, რასაც ვაკეთებთ, ეს არის პირდაპირი დარღვევა ადამიანის უფლებათა დაცვის როგორც ევროპული კონვენციის, ასევე გაეროს სოციალურ ეკონომიკური და კულტურულ უფლებათა დაცვის კონვენციის.

\_ ქალბატონო მანანა, 1988 წელს ხაიშში 130 ოჯახმა აიღო საკმაოდ სოლიდური კომპენსაცია. თუ იცით ამის შესახებ და რა კომენტარს გააკეთებთ?

\_რაც შეეხება კომპენსაციების აღებას საბჭოთა კავშირის დროს, ამას არავინ უარყოფს, მათ შორის ის ოჯახებიც, რომლებმაც აიღეს. თუმცა, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1898 წლის გადაწყვეტილებით, ხუდონჰვისის პროექტი არა მარტო უნდა შეჩერებული იყო, არამედ განხორციელებულიყო სალიკვიდაციო და საკონსერვაციო სამუშაოები, რომლებიც არ შესრულდა. შესაბამისად, თუ ახლა კომპანიას უნდა გამოაჩინოს რომ ამ ადამიანებმა ერთხელ უკვე აიღეს კომპენსაცია, ეს არ არის სწორი. ეს ადამიანები ერთხელ უკვე გადაასახლეს სვანეთიდან, და ისინი დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს მას შემდეგ, რაც შეჩერდა სრულად მშენებლობა

\_ თქვენ პირადად და "მწვანე ალტერნატივა" აპირებთ თუ არა ხაიშში ჩასვლას იმ ადამიანებთან, რომლებიც აქციებს მართავენ?

\_ რაც შეეხება ხაიშის მოსახლეობას, ჩვენ ვაპირებთ დაუდგეთ გვერდით იმ ფორმით, რა ფორმითაც იქნება ყველაზე უფრო ეფექტური, მათ შორის უზრუნველყოფით მათი უფლებების სამართლებრივ დაცვას.

Tweet 1 | G+1 0 | Like Share 57

პრობლემა

შუბლაკა-ნიკოლაიშვილი საბაბჰვილმა ბაქოში პრემიერის ჩასვლამდე აფრინა?

2012-12-25 23:59:37

პრობასიის საბანდოს ჰიპობი, პრემიერი და მოუხმადმებელი საპარლამენტო ანგარიში

2013-06-06 16:42:45



წყლის სისტემის რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის შემდეგ



სად გაქრა 91 833 ცალი ჩამოწერილი წიგნი?



8 საკითხი \_ წულუკიანის უწყებას არაეფექტური მუშაობის შედეგებზე



ვინ არიან ოზურგეთის სოფლებში მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატები



აღდგება თუ არა სამართლიანობა მიხეილ სააკაშვილის დაქვრით



"მინდოდა ღირსეული სიბერე მქონოდა..."

პოლიტიკა



"ჯავახვი" სომხური ენისთვის სტატუსის მინიჭებას ითხოვს"



ზაზა ხატიაშვილი შსს-სგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს



"მერაბიშვილის განცხადება საფუძვლად მოკლებულია"



პარლამენტს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი

სამოხელეობა



"დევნმართ პატიმრებს, ნუ მივატოვებთ გასაჭირში"



"არხის მფლობელთან დეზინფორმაცია მიჭირდათ და ივანიშვილი



კლუბ "გურიას" დირექტორის შვილი გარდაიცვალა



დღის ფოტო \_ ბურჯანაძის ოფისი ჩოხატაურში

ფინანსები



წყლის სისტემის რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის შემდეგ



სად გაქრა 91 833 ცალი ჩამოწერილი წიგნი?